გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №12

17 სექტემბერი, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, ზაქარია იაგანაშვილი.

ესწრებოდნენ: ალ. სირბილაშვილი, ვ. ელიზბარაშვილი, გ. ენუქიძე, ლ. გაბიტაშვილი, ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე, ივ. ნატროშვილი, კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, მ. მუღალაშვილი, პ. გველუკაშვილი, ზ. მინდორაშვილი, რ. არდაზიშვილი, ნ. ღლიღვაშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ბ. ზირაქაშვილი, ალ. ზირაქაშვილი, ვ. მამისაშვილი, მ. ჩიბარაშვილი.

მოწვეული სტუმრები: გ. პეტრუზაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ.

/ზ. მინდორაშვილი/

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ზ. მინდორაშვილი/

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ზ. მინდორაშვილი/

4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ზ. მინდორაშვილი/

5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

/კ. ნაპირელი/

6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ივ. ნატროშვილი/

7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

/გ. ენუქიძე/

8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

/ვ. მამისაშვილი/

9. სახელმწიფო შესყიდვების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განსახორციელებლად გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ნებართვის მიცემის შესახებ.

/კ. ნაპირელი/

10. საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/ივ. ნატროშვილი/

11. ს. კაჭრეთში მცხოვრები გულჩინა გეთიაშვილის საჩივრის განხილვის შესახებ.

/ლ. ჩიტოშვილი/

12. სესხის აღებაზე ნებართვის შესახებ.

/კ. ნაპირელი/

13. სხვადასხვა.

ზ. იაგანაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ ცვლილებაა შესატანი იმ განკარგულებებში, რომლებითაც არჩეულ არიან საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები. ცვლილება კი გამოწვეულია კომისიათა სახელწოდების შეცვლით.

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ, საკრებულოს წევრებმა თავმჯდომარეს მიმართეს თხოვნით, განსახილველ საკითხთა რიგითობის შეცვლის შესახებ.

კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

დაადგინეს:

სხდომამ იმუშაოს აღნიშნული დღის წესრიგით შეტანილი შენიშვნისა და დამატების გათვალისწინებით.

მოისმინეს:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ.

ზ. მინდორაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ გააცნო გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) პროექტი. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტში საუბარია იმაზე, რომ ფრაქციის თავმჯდომარის შვებულებაში გასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფრაქციის წევრების მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს გამოიწვევს ფინანსურ პრობლემებს, მას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის შვებულებაში გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს საკრებულოს თავმჯდომარემ.

მან აქვე დასძინა, რომ პროექტიდან ამოღებულ იქნა საკრებულოს ხდომის ჩატარების ერთი, კონკრეტული დღე. ამდენად, წარმოდგენილ ვარიანტში აღარაა მითითებული.

კენჭი უყარეს,

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი) წარმოდგენილი სახით შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განსახორციელებლად გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ნებართვის მიცემის შესახებ.

კ. ნაპირელმა წარმოადგინა პროექტი და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებით, სოფლებში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაა განსახორციელებელი. სხვა ყველა შემთხვევაში, პროცედურების შესრულება გამოიწვევს საქმის გაჭიანურებას. გამომდინარე აქედან, საჭიროა, ნება დაერთოს მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ აღნიშნული სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
ნება დაერთოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 აგვისტოს №1064 განკარგულებით გურჯაანის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი სახსრებით სოფლებში: ვაჩნაძეანში, ვაზისუბანში, გურჯაანში, ნანიანში, ჯიმითსა და კაჭრეთში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით.

მოისმინეს:
3. საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

ივ. ნატროშვილმა სხდომის წევრებს გააცნო გამგეობის მიერ წარმოდგენილი საპრივატიზაციო ნუსხა, რომელშიც შეტანილია შემდეგი ობიექტები:
– ქ. გურჯაანში, გურამიშვილის ქ. №32-ში მდებარე შპს გურჯაანის რკინიგზის ამბულატორია;
– ქ. გურჯაანში, სარაჯიშვილის ქ. №47-ში მდებარე შენობა-ნაგებობები:
– შენობა-ნაგებობების ფართი – 479,60 მ^2; დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი – 1276 მ^2.
– შენობა-ნაგებობების ფართი – 510,10 მ^2; დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი – 2538,6 მ^2.
– შენობა-ნაგებობების ფართი – 1879,60 მ^2; დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი – 14270,8 მ^2.

აზრი გამოთქვეს:
– ზ. იაგანაშვილმა აღნიშნა, რომ მიაჩნია, ქ. გურჯაანში, გურამიშვილის ქ. №32-ში მდებარე შპს „გურჯაანის რკინიგზის ამბულატორიის“ შემთხვევაში, გამოცხადდეს პირობიანი აუქციონი,რათა შენარჩუნებულ იქნას პროფილი და მითითებულ იქნას ინვესტიციაც.
ზ. იაგანაშვილს დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრებიც.

კენჭი უყარეს.
დაადგინეს:
დამტკიცდეს წარმოდგენილი საპრივატიზაციო ნუსხა. /მომხრე – 21. წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
4. ს. კაჭრეთში მცხოვრები გულჩინა გეთიაშვილის საჩივრის განხილვის შესახებ.
ლ. ჩიტოშვილმა წარმოადგინა პროექტი „ს. კაჭრეთში მცხოვრები გულჩინა გეთიაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ და აღნიშნა, რომ მოქალაქეს ეცნობა, დასწრებოდა საკითხის განხილვას და წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და არგუმენტაცია.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
უარი ეთქვას მოქალაქე გულჩინა გეთიაშვილს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების“ კომისიის 2010 წლის 5 ივლისის №2 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ამის საფუძველზე საკუთრების მოწმობა №317-ის აღდგენის მოთხოვნაზე. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
5. სესხის აღებაზე ნებართვის შესახებ.

პროექტი წარმოადგინა კოტე ნაპირელმა და აღნიშნა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში, სოფელ კარდენახის რკინიგზის სადგურთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად დამატებით სესხის აღებაზე, საჭიროა საქართველოს მთავრობიდან ნებართვის თხოვნა.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
ეთხოვოს ნებართვა საქართველოს მთავრობას, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში, სოფელ კარდენახის რკინიგზის სადგურთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად აზიის განვითარების ბანკთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად გურჯაანის მუნიციპალიტეტისათვის 10 (ათი) წლის ვადით წლიური 12%-ის საპროცენტო განაკვეთით 76,198.50 (სამოცდათექვსმეტიათასასოთხმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის სესხის აღებაზე. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ.

ზ. მინდორაშვილმა წარმოადგინა პროექტი. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:
– ალ. სირბილაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია, გამგეობის კულტურის, განათლებისა და სოციალური განვითარების სამსახურის სახელწოდებაში დაემატოს კიდევ სიტყვა „სპორტის“.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
7. .გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.
დ. გოგებაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ გააცნო გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება. (თან ერთვის)

კენჭი უყარეს.
დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ზ. მინდორაშვილმა წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულება. (თან ერთვის)

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულება წარმოდგენილი სახით.
/მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

კ. ნაპირელმა წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულება. (თან ერთვის)

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულება წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

10. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ივ. ნატროშვილმა წარმოადგინა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულება. (თან ერთვის)

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულება წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

11. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

გ. ენუქიძემ წარმოადგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება. (თან ერთვის)

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

12. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ვ. მამისაშვილმა წარმოადგინა საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულება. (თან ერთვის)

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის დებულება წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

13. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ივნისის №35 განკარგულებაში „საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ზ. მინდორაშვილმა წარმოადგინა პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილების შეტანა გამოიწვია საკრებულოს დებულებაში (რეგლამენტში) მუდმივმოქმედი კომისიების დასახელებათა სხვაობამ. კერძოდ, საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო კომისიის ნაცვლად იგი არის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

კენჭი უყარეს,

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება 2010 წლის 29 ივნისის №35 განკარგულებაში „საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

14. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ივნისის №37 განკარგულებაში „საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ზ. მინდორაშვილმა წარმოადგინა პროექტი და აღნიშნა, რომ გიორგი ენუქიძე არჩეულ იქნება საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ. (ნაცვლად სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომისიისა).

კენჭისყრის შედეგად ერთხმად

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება 2010 წლის 29 ივნისის №37 განკარგულებაში „საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“.

მოისმინეს:

15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ივნისის №38 განკარგულებაში „საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ზ. მინდორაშვილმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ივნისის №38 განკარგულებაში „საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ და აღნიშნა, რომ ივანე ნატროშვილი არჩეულ იქნება საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ. (ნაცვლად საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიისა).

კენჭისყრის შედეგად ერთხმად

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება 2010 წლის 29 ივნისის №38 განკარგულებაში „საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

მოიმსინეს:

16. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ივნისის №39 განკარგულებაში „საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ზ. მინდორაშვილმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ივნისის №39 განკარგულებაში „საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ და აღნიშნა, რომ ვაჟა მამისაშვილი არჩეულ იქნება საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ. (ნაცვლად საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიისა).

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება 2010 წლის 29 ივნისის №39 განკარგულებაში „საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“. /მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0/

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაქარია იაგანაშვილი**